# Curriculum Vitae

| | |
|---|---|
| **სახელი** | ზურაბ |
| **გვარი** | ტატაშიძე |
| **დაბადების თარიღი და ადგილი:** | 1928 წლის 24 სექტემბერი, ქ.საჩხერე |
| **სამსახურის მისამართი:** | თბილისი, მ.ალექსიძის 1, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი |
| **განათლება:** | **უმაღლესი** |
| **1946-1951** | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი |
| **სამეცნიერო ხარისხი და წოდება:** | |
| **1951-1957** | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა |
| **1955** | გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი |
| **1973** | გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი |
| **1979** | პროფესორი |
| **1997** | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი |
| **დაკავებული თანამდებობები:** | |
| **1954-1957** | ნ.ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი |
| **1957-1958** | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი |
| **1958-1960** | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი |
| **1958-1959** | თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი (შეთავსებით) |
| **1975-1990** | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის განყოფილების გამგე |
| **1980 წლიდან** | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგიის პროფესორი (შეთავსებით) |
| **1983 წლიდან** | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგიის კათედრის გამგე |
| **1990-1993** | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი |
| **1993 წლიდან** | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი |
| **მეცნიერული ინტერესების სფერო:** | კარსტოლოგია, სპელეოლოგია, მღვიმეთმცოდნეობა |
| **გამოქვეყნებული შრომების საერთო რაოდენობა:** | 300-მდე |
| **ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი:** | |


1. Таташидзе З.К. Анакопийская пропасть (опыт комплексной спелеологической характеристики). Тб., «Мецниереба», 1963, 97с.
2. Таташидзе З.К Спелеологические исследования глубинного карста ГССР. Материалы VI съезда географического общества СССР., 1975. 147 с.
3. Таташидзе З.К Карстовые пещеры Грузии (морфологический анализ. Тб., «Мецниереба», 1976. 392 с.

4. Таташидзе З.К Новоафонская пещерная система. Тб., «Мецниереба», 1983. 160 с.
5. ზ.ტატაშიძე. ბზიფის მასივის კარსტი და მღვიმეები. თბ., „მეცნიერება“, 1988. 110 გვ.
6. ზ.ტატაშიძე. საქართველოს კარსტული მასივების რელიეფის დინამიკა და მათი ფერდობების ევოლუცია. გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის თეზისები, 1997
7. Tatashidze S. Sources of Terrigenous Material and Sedimentation Regularities in Karst Caves of West Georgia. INQA, XIII, China, 1993
8. ზ.ტატაშიძე, შ.ცხოვრებაშვილი და სხვ. გეომორფოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, „ნეკერი“, 160 გვ.
9. ზ.ტატაშიძე, ე.წერეთელი. ბუნების სტიქიური მოვლენების გეომონიტორინგული კვლევები საქართველოში და მათი რეალიზაციის გზები. თბილისი, სამეცნიერო სესიის მასალები „ბუნებრივი გარემოს მდგრადი განვითარების პრობლემები“, 1996
10. ზ.ტატაშიძე, ე.წერეთელი. საქართველოში სტიქიური დამანგრეველი პროცესების განვითარების ტენდენციები და მათი პროგნოზირების პრობლემა. თბილისი, IV რესპუბლი-კური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თსუ, 1994
11. ზ.ტატაშიძე, ე.წერეთელი. ეროზიული პროცესების კვლევის საკითხებისათვის. თბილისი, IV რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თსუ, 1994
12. ზ.ტატაშიძე, ო.ხმალაძე. კახეთის რეგიონისათვის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სპეციალისტების მომზადების საკითხისათვის. თბილისი, გეოგრაფიის ინსტიტუტის გამსვლელი სესიის მასალები, 1995

**პრემიები, ჯილდოები:** 1977 – საკავშირი სახელმწიფო პრემია
– საქართველოს ღირსების ორდენი

**საკონტაქტო ტელეფონი:**

**ელ-ფოსტა:**

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 15 ივნისი, 2011 წელი.

№110 (6721)


## ხსოვნა

# ამაგდარი მეცნიერი

## ზურაბ ტატაშიძის გამოსათხოვარი

ქართულმა გეოგრაფიულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა: 82 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ზურაბ ტატაშიძე.

იგი წლების განმავლობაში იყო ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი (1992-2006), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი (1998-2004). ბატონი ზურაბი გახლდათ უბადლო ლექტორი, სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის საყვარელი პედაგოგი. წლების განმავლობაში თავის მდიდარ ცოდნას უშურველად გადასცემდა სტუდენტ ახალგაზრდობას. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი.

განუზომელია ბატონი ზურაბის ღვაწლი საქართველოს მაღალმთიანი კარსტული მღვიმეების კვლევაში. კრუბერის სახელობის უფსკრულს, რომელიც დღეისათვის ულრმესია (2191 მ) დედამიწაზე, პირველად სწორედ ქართველმა მკვლევარებმა მიაკვლიეს 1960 წელს. გამართლდა ბატონი ზურაბის არა-ერთგზის გამოთქმული მოსაზრება საქართველოს მაღალმთიან კირქვულ მასივებზე ზეღრმა კარსტული მღვიმეების არსებობის შესახებ.

აღსანიშნავია აგრეთვე, ამავე პერიოდში ახალი ათონის მიდამოებში განხორციელებული სპელეოგამოკვლევები, რასაც მეტად მნიშვნელოვანი და ამაღელვებელი აღმოჩენა მოჰყვა. შედეგად ახალი ათონის მღვიმემ ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიკავა ევროპის კეთილმოწყობილ მღვიმეებს შორის.

ღრმა კარსტული ჭებისა და შახტების კვლევის, აგრეთვე კარსტული ნაკადების შთანთქმისა და გამოსავლების დონეებს შორის დიდი ჰიდროლოგიური პოტენციალის საფუძველზე, იგი დაინტერესდა სიღრმული კარსტის პრობლემებით. სენსაციური იყო 80-იანი წლების აღმოჩენები, როცა მისი აქტიური მონაწილეობით ჩატარდა ექსპერიმენტული გამოკვლევები და გამოვლინდა დედამიწაზე ულრმესი (2 345 მ) „ნაფრა-მჭიშთას" კარსტულ-ჰიდროგეოლოგიური სისტემა. ამ ფაქტმა საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა, ხოლო საქართველოს კარსტულმა ფენომენებმა უცხოელ მკვლევართა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.



პროფ. ზურაბ ტატაშიძის და, საერთოდ, გეოგრაფიის ინსტიტუტის კოლექტივის ინიციატივით 80-იან წლებში დამუშავდა და მომზადდა წყალტუბოს მღვიმური სისტემის სამეურნეო ათვისების მეცნიერული პროგრამა, რომელიც საფუძვლად დაედო მღვიმის კეთილმოწყობის პროექტს.

პროფ. ზურაბ ტატაშიძემ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში კარსტული მღვიმეების კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. ტელევიზიით და რადიოთი გადაიცემოდა მის მიერ მომზადებული სიუჟეტები, კითხულობდა ლექციებს საქართველოს უნიკალური მღვიმური სისტემების პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ, ჩატარებულმა ღონისძიებებმა დიდი როლი ითამაშა ქართველი ახალგაზრდების მღვიმეებით დაინტერესების საქმეში. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გეოგრაფიის მასწავლებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა ზ. ტატაშიძის თაოსნობით და მისივე თანაავტორობით გამოცემულმა სასკოლო სახელმძღვანელოებმა.

განუზომელი და ფასდაუდებელია ბატონი ზურაბის მეცნიერული და ორგანიზატორული საქმიანობის შეფასება, რაც მან განახორციელა ქართული გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლის — ვახუშტი ბატონიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის — უნიკალური ატლასის გამოცემაში.

ბატონი ზურაბის მიღწევები ქართული გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების საქმეში სათანადოდ იქნა დაფასებული. მას მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო პრემია (1977), დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით (1999) და საქართველოს საპატრიარქოს სიგელით (2008).

ბატონი ზურაბი იყო არაჩვეულებრივი პიროვნება, მშვიდი, სიკეთისა და სათნოების განსახიერება, საოცარი სითბოთი დაჯილდოებული, კოლეგებისა და მეგობრებისათვის თავდადებული, ერთგული მეუღლე, საუკეთესო მამა და ბაბუა.

მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული გეოგრაფიული მეცნიერების ისტორიაში.

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელი განყოფილება.**

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი

ზურაბ ტატაშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.